ანოტაცია

ინგლისური ლიტერატურა

ამერიკული ლიტერატურა ისტორიულ და ფილოსიფიურ კონტექსტში კოლონიალური პერიოდიდან XIXს. ბოლო მეოთხედამდე/American Literature in Historical and Philosophical Context(From the Colonial Period to the last Quarter of the XIX th Century)

სასწავლო კურსი ითვალისწინებს ამერიკული ლიტერატურის პროცესის კანონზომიერებათა შესწავლას ამერიკული ლიტერატურის ჩასახვის პერიოდიდან (კოლონიალური პერიოდი) XIX ს. ბოლო მეოთხედამდე და ამერიკული ლიტერატურის განვითარებისა და მხატვრული თავისებურებების დინამიკის განსაზღვრას.

ჩოსერი, შექსპირი და ინგლისური რენესანსი/Chauccer, Shakespeare and English Renaissance

სასწვლო კურსი ინგლისური რენესანსის და მისი ბრწყინვალე წარმომადგენელების – ჩოსერისა და შექსპირის შემოქმედების შესწავლას ითვალისწინებს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც ინგლისური ლიტერატურისა და კულტურის, ისე ენის შესწავლის თვალსაზრისით. ამასთანავე, კურსი ემსახურება ტექსტის ანალიზისა და ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების უნარის გამომუშავებას. კვლევის უნარ–ჩვევების გაღრმავებას, დისკუსიაში მონაწილეობის მიღების, პრეზენტაციის, ესეს წერის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ინგლისური დრამა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ/English Drama after World War II

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია XX საუკუნის მეორე ნახევრის უმნიშვნელოვანეს ბრიტანელ დრამატურგთა პიესების შესწავლა, მხატვრული ტექსტის ანალიზისა და ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, კვლევის უნარ–ჩვევების გაღრმავება. ამასთანავე, მაგისტრანტებს გამოუმუშავდებათ ლიტერატურულ თემაზე დისკუსიაში მონაწილეობის, პრეზენტაციისა და ესეს წერის უნარ-ჩვევები.

ინგლისური რომანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ(ინგლისურ ენაზე)/English Novel After World War II

კურსის ფარგლებში შეისწავლება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ინგლისური ლიტერატურის ზოგადი დახასიათება. გათვალისწინებულია ეპოქისთვის დამახასიათებელი ლიტერატურული მიმდინარეობების განხილვა. ფილოსოფიური რომანის ჟანრობრივი თავისებურებების განხილვა. აირის მერდოკის, უილიამ გოლდინგის, ჯონ ფაულზის, შემოქმედების შესწავლით მხატვრული ტექსტის ანალიზისა და ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების უნარის გამომუშავება, კვლევის უნარ_ჩვევების გაღრმავება.ლიტერატურულ თემაზე დისკუსიაში მონაწილეობის, პრეზენტაციისა და ესეს წერის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ინგლისური ესე (XX ს-ის პირველი ნახევარი) /ENGLISH ESSAY (First Half of the XX Century)

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია XX საუკუნის პირველი ნახევრის უმნიშვნელოვანეს ავტორთა ესეების შესწავლით მხატვრული ტექსტის ანალიზისა და ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების კვლევის უნარ–ჩვევების გაღრმავება. ლიტერატურულ თემაზე დისკუსიაში მონაწილეობის, პრეზენტაციისა და ესეს წერის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ფოლკნერის რომანი და მოდერნიზმი/Faulkner's Novels and Modernism

სასწავლო კურსი შეასწავლის სტუდენტებს ფოლკნერის შემოქმედების ანალიზს. კურსის გავლის შედეგად სტუდენტი გაიღრმავებს ლიტერატურულ თემაზე დისკუსიაში მონაწილეობის, მსჯელობისა და ანალიზის, პრეზენტაციისა და ესეს წერის უნარ-ჩვევებს. შესაბამისად, ამ კურსის კონკრეტული ამოცანებია: ა)მისცეს სტუდენტებს ცოდნა ფოლკნერის რომანისა და მოდერნიზმის ურთიერთმიმართების შესახებ; ბ) განუვუთაროს ინგლისურ ენაზე ლიტერატურული ანალიზისა და მისი საჯაროდ წარდგენის ჩვევები.

XVIIს. ინგლისის რევოლუციური ეპოქა და მილტონი/XVIII c. English Revolutionary Epoch and Milton

სასწავლო კურსის მაგისტრანტებს უქმნის მკაფიო წარმოდგენას XVII-XVIIIსს ინგლისური ლიტერატურის პროცესზე, ამ ეპოქის ძირითად მიმდინარეობებზე; სტუდენტები სიღრმისეულად შეისწავლიან "მეტაფიზიკური სკოლის" პოეზიასა და მილტონის ფილოსოფიური ეპოსს.

მოდერნისტრული რომანის პოეტიკა/Poetics of Modernist Novel

სასწავლო კურსი ითვალისწინებს XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მიმდინარეობის პოეტიკის შესწავლას და ამით მაგისტრანტში მხატვრული ტექსტის ანალიზისა და ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების უნარის გამომუშავებას, კვლევის უნარ_ჩვევების გაღრმავებას. ლიტერატურულ თემაზე დისკუსიაში მონაწილეობის, პრეზენტაციისა და ესეს წერის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ინგლისური ლიტერატურა: ტექსტი და კონტექსტი/English Literature: Text and Context

სასწავლო კურსი შეასწავლის მაგისტრანტებს ინგლისური ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ავტორების ტექსტების ანალიზს მათი შექმნის ისტორიული, კულტურული, რელიგიური კონტექსტის გათვალისწინებით. კურსის გავლის შედეგად სტუდენტი გაიღრმავებს ლიტერატურულ თემაზე დისკუსიაში მონაწილეობის, მსჯელობისა და ანალიზის, პრეზენტაციისა და ესეს წერის უნარ-ჩვევებს.

XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ კონცეფციათა განვითარების დინამიკაში/XX Century American Literature in the Dynamics of Development of Philosophical and Psychological Theories

სასწავლო კურსის ითვალისწინებს XIXს მიწურულისა და XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესწავლას. აღნიშნული პერიოდის ლიტერატურა განიხილება, როგორც განვითარებადი სისტემა – ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ კონცეფციათა განვითარების რთულ დინამიკაში.

ანოტაცია

ბრიტანეთმცოდნეობა

დიდი ბრიტანეთის კულტურა /British Culture

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაეცნობიან დიდი ბრიტანეთის კულტურას, მის სხვადასხვა ასპექტს, მის წარსულსა და დღევანდელობას;

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური პოლიტიკა/Economic Policy of Great Britain

სასწავლო კურსი ითვალისწინებს სტუდენტებს მისცეს ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის შესახებ და გამოუმუშავოს ამ ქვეყნის ბიზნეს-გარემოში საქმიანობის უნარ-ჩვევები.

ბრიტანულ-ქართული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობები/British and Georgian Literary Relations

სასწავლო კურსის ხელი შეუწყობს მაგისტრანტებს, შეისწავლონ ბრიტანულ-ქართული მიმართებები. სახელდობრ, თუ რა ინტერესს ამჟღავნებდა ოდითგანვე ეს ორი ქვეყანა ერთმანეთის მიმართ, რა სახის კონტაქტები დამყარდა საქართველოსა და ბრიტანეთს შორის და როგორ მიიღო, შეითვისა და გაიაზრა ქართულმა კულტურამ ბრიტანული და პირიქით, ბრიტანულმა - ქართული.

ინგლისის ისტორიის მოკლე კურსი /A short course in the History of England

სასწავლო კურსი აცნობს სტუდენტებს ინგლისის მოკლე ისტორიასა და ინგლისური ხასიათისა და მენტალიტეტის ჩამოყალიბებას ისტორიასთან კავშირში.

თანამედროვე ბრიტანეთის საზოგადოება და საზოგადოებრივი ინსტიტუტები/ British Society and Public Institutions today

სამაგისტრო კურსი სტუდენტებს აცნობს თანამედროვე ბრიტანეთის კულტურულ, ეთნიკურ და სოციალურ მრავალფეროვნებას, მის საგანმანათლებლო და პოლიტიკურ ინსტიტუტებს; ტრადიციებისა და თანამედროვე რეალიების შეთავსების, მულტიკულტურული საზოგადოების თანაარსებობის პრობლემატიკას, სტერეოტიპების რღვევისა და თვისობრივად ახალი აზროვნების გაჩენას.

თანამედროვე ბრიტანეთის პოლიტიკა /Politics of Contemporary England

სასწავლო კურსი ითვალისწინებს მაგისტრანტებს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა დიდი ბრიტანეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, შეასწავლოს მისი სახელმწიფო ინსტიტუტების სპეციფიკა. ამ მიზნით მაგისტრანტებს განემარტებათ პოლიტოლოგიური და სოციოლოგიური ტერმინოლოგია.

ანოტაცია

ინგლისური ენის ისტორია

კოგნიტიური და ფუნქციონალური ლინგვისტიკა/Cognitive and Functional Linguistics

სასწავლო კურსი ხელს შეუწყობს სტუდენტთა თეორიული ცოდნის გამდიდრებას კოგნიტიური და ფუნქციონალური ლინგვისტიკის სფეროში არსებულ თანამედროვე მიდგომათა სიღრმისეულად შესწავლის საფუძველზე. წინა პლანზეა წამოწეული მათი სამეცნიერო-კვლევითი წვდომის შესაძლებლობები იმ მეთოდოლოგიების გათვალისწინებით, რომლებიც თითოეულ ამ მიდგომათა წიაღში ფუნქციონირებენ.

დისკურსის ანალიზი/Discourse Analysis

კურსი ითვალისწინებს მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს გააცნოს თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობა – დისკურსის ანალიზი. თანამედროვე ეტაპზე სრულყოფილი ლინგვისტური კვლევა წარმოუდგენელია დისკურსის ანალიზის მეთოდებისა და პრინციპების გათვალისწინების გარეშე. კურსის ამოცანაა გააღრმავოს სტუდენტის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა ლინგვისტიკაში; ერთი მხრივ, სტუდენტი შეისწავლის დისკურსის შესახებ არსებულ თეორიებს, ხოლო მეორე მხრივ, იგი დაეუფლება დისკურსის დონეზე ანალიზის წარმოებისათვის საჭირო მეთოდებს.

ლინგვისტურ ცვლილებათა მექანიზმები (ინგლისური ენის ისტორიული განვითარების მასალაზე)/Mechanisms of Language Change (on the material of the Historic Development of English)

კურსი ინგლისური ენის ისტორიული განვითარების მასალაზე განიხილავს ენობრივი ცვლილების მიზეზებს და ბუნებას და მიზნად ისახავს სტუდენტის კრიტიკული აზროვნების უნარის გაღრმავებას და ლინგვისტური აზროვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ენობრივი ცვლილებანი გაანალიზებულია ენის ყველა დონეზე (ფონეტიკა-ფონოლოგიის, გრამატიკის, სემანტიკის, პრაგმატიკის) სხვადასხვა ლინგვისტურ მიმდინარეობათა (ნეოგრამატიზმის, სტრუქტურალიზმის, გენერატივიზმის) პრინციპების გამოყენებით, გარეგანი და შინაგანი ფაქტორების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ერთ-ერთ ბაზისურ ევრისტიკულ პრინციპს – ანალოგიის პრინციპს, ენაში მუდმივად მოქმედ სიჭარბის ფაქტორს და ეკონომიის პრინციპს.

კომუნიკაციური ლინგვისტიკა

ეს თეორიული კურსი მაგისტრანტებს უყალიბებს თეორიული წარმოდგენების სისტემას როგორც ლინგვისტური საგნების, ისე თანამედროვე ლინგვისტიკის ამოცანებისა და მიმართულებების შესახებ მისი განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე; გარდა ამისა, მსმენელებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ენის კონცეფციის კომუნიკაციურ მოდელთან დაკავშირებით: როდის და რა ეტაპების გავლით დამკვიდრდა თანამედროვე ლინგვისტიკაში კომუნიკაციური პარადიგმა, რას

წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის მსოფლმხედველური საფუძველი, რატომ ხდება კომუნიკაციის ცნების განახლება, არის თუ არა კომუნიკაცია ადამიანური ქმედების სახეობა და რას წარმოადგენს გამონათქვამის პრაგმატული კომუნიკაციური ქმედების ოპერატიული სტრუქტურები. ამ დისციპლინის ფარგლები მოიცავს აგრეთვე ძირითად საკითხებს ლინგვისტური პრაგმატიკისა და ტექსტობრივი კატეგორიების სისტემების შესახებ.

ლექსიკური სემანტიკა/Lexical Semantics (კურსი ეფუძნება ინგლისურ მასალებს და იკითხება ინგლისურ ენაზე)

კურსი მაგისტრანტებისათვის სემანტიკური ანალიზის ბაზისური კონცეპტების, კომპონენტებისა და ანალიზის მეთოდების გაცნობას ითვალისწინებს. მეცადინეობებზე განიხილება კურსის თეორიულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული კონკრეტული მაგალითები, მიმოიხილება სემანტიკური თეორიები (როგორც თანამედროვე, ისე ტრადიციული), რომლებიც, ზოგადად, მნიშვნელობის თეორიას ეხება და რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს სემანტიკის, როგორც მეცნიერების, განვითარებაში; ყურადღება დაეთმობა, ასევე, სემანტიკის ადგილს თანამედროვე ლინგვისტურ კონტექსტში; სემიოტიკის ძირითად დებულებებსა და მიღწევებს.

ლინგვისტური აზროვნების ისტორია/History of Linguistic Thought

კურსი ითვალისწინებს, აჩვენოს სტუდენტებს, თუ როგორ და რატომ იცვლებოდა საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა წარმოდგენა ენის შესახებ. კურსი ქრონოლოგიურად და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით განიხილავს დასავლური ლინგვისტიკის ისტორიას პლატონის ეპოქიდან დღემდე. სტუდენტები გააცნობიერებენ, რომ ბევრი დღეს აქტუალური ლინგვისტური პრობლემა (მაგალითად, ისეთი, როგორიცაა ენისა და აზროვნების მიმართება) სათავეს პლატონის ეპოქიდან იღებს. ზოგიერთი საკითხის წარმომავლობას მხოლოდ რამდენიმე თაობა გვაშორებს (მაგალითად, ასეთი საკითხებია, ლინგვისტური ცვლილების მექანიზმებისადმი ინტერესი, ან სოციალურ ფაქტორთა ზემოქმედება მეტყველების სტილზე).

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ უ რ ი პ რ ა გ მ ა ტ ი კ ა / Linguistic Pragmatics

სასწავლო კურსი აცნობს მაგისტრანტებს პრაგმატიკის ძირითად კატეგორიებსა და ტერმინოლოგიურ აპარატს. შეისწავლება შედეგი საკითხები: პრაგმატიკის მიმართება სინტაქსთან და სემანტიკასთან, დეიქსისა და დისტანცის საკითხები. რეფერენცია და ინფერენცია. პრესუპოზიცია და მისი სახეობანი; გრაისის თანამშრომელობის პრინციპი და მაქსიმები. ლიჩის თავაზიანობის მაქსიმები. იმპლიკატურა და მისი სახეები. სამეტყველო აქტთა თეორია.

პრაგმატიკა და დისკურსი/Pragmatics and discourse -

სამაგისტრო კურსის ფარგლებში შეისწავლება პრაგმატიკისა და დისკურსის საკვანძო საკითხები. გათვალისწინებულია საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა. პრაგმატიკისა და დისკურსის ანალიზის მეთოდების გაცნობა და ამ მეთოდების პრაქტიკული გამოყენება დისკურსის სხვადასხვა ნიმუშების ანალიზის პროცესში.

სოციოლინგვისტიკა/Sociolinguistics

აღნიშნული კურსი აცნობს მაგისტრებს სოციოლინგვისტიკის, ენისა და საზოგადოების ურთიერთობის საფუძვლებს. სოციოლინგვისტიკის კონცეფციისა და მეთოდების ცოდნა კოჰერენტულ ჩარჩოში ხელს უწყობს კვალიფიციური ლინგვისტის სათანადო განვითარებას. კურსი გულისხმობს ენის ყველა დონის ვარიაციების წარმოჩენას კულტურული და ეროვნული იდენტურობის საფუძველზე. აგრეთვე, ეს კურსი უზრუნველყოფს სოციოლინგვისტიკის კრიტიკულ შესწავლას და დებატებს ამ სფეროს შიგნით.

ტექსტის ლინგვისტიკა/Text Linguistics

წარმოდგენილი სასწავლო სალექციო კურსი ითვალისწინებს, სტუდენტს გააცნოს მხატვრული ტექსტის ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის სიღრმისეული და ადეკვატური გაგებისათვის საჭირო თეორიული საფუძვლები, კერძოდ, ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა პრაგმატიკული პარადიგმის გათვალისწინებით. სალექციო კურსში წინა პლანზე ტექსტის პროცესუალობაა წარმოდგენილი, როგორც ტექსტის არსებობის ფორმა. მიწოდებული მასალა სტუდენტს საშუალებას აძლევს ტექსტი გაიგოს, ერთი მხრივ, როგორც სამეტყველო უნარის რეალიზაცია და მეორე მხრივ, როგორც ენა მოქმედებაში.

ანოტაცია

ენა და ლექსიკოგრაფია

პრაქტიკული კურსი ინგლისურ-ქართულ სპეციალიზებულ ლექსიკოგრაფიაში / Practical Course in English-Georgian Specialized Lexicography

კურსის მიზანია სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, სალექსიკონო სიტყვა-სტატიაზე მუშაობისათვის საჭირო კვლევების ჩატარების უნარ-ჩვევების გამომუშავება ტერმინების რედაქტირებისა და მათი ქართული ეკვივალენტების დადგენისათვის.

პრაქტიკული კურსი ინგლისურ-ქართულ ზოგად ლექსიკოგრაფიაში 1, 2 / Practical Course in English-Georgian General Lexicography 1, 2

პრაქტიკული კურსი სტუდენტს გამოუმუშავებს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, სალექსიკონო სიტყვა-სტატიაზე მუშაობისათვის საჭირო კვლევების ჩატარების უნარ-ჩვევებს,სიტყვის დაწერილობის, წარმოთქმის, პოლისემიური მნიშვნელობების, ფრაზეოლოგიური ერთეულების და სხვ. დადგენისათვის.

აღნიშნული პრაქტიკული კურსი ითვალისწინებს ერთსემესტრიან პრაქტიკას ლექსიკოგრაფიულ ცენტრში (III სემესტრი)

ქართული და ინგლისური ლექსიკოგრაფიის ისტორია / History of Georgian and English Lexicography

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია: სტუდენტებისათვის იმ მდიდარი ლექსიკოგრაფიული ტრადიციების გაცნობა, რითაც გამოირჩევა ინგლისური და ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია; სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, ლექსიკოგრაფიული პრინციპების ევოლუციისათვის თვალის მიდევნება; ქართველი და ინგლისელი ლექსიკოგრაფების პორტრეტების შესწავლა.

ლექსიკონები და ლექსიკოგრაფიული პრინციპები /
Dictionaries: Macrostructures and Microstructures

სასწავლო კურსი სტუდენტებს აცნობს სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს და მათი შედგენის ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს: განმარტებითი ლექსიკონები, ორენოვანი, ანუ თარგმნითი ლექსიკონები, დარგობრივი (როგორც განმარტებითი, ასევე ორ ან მეტენოვანი), ფრაზეოლოგიური ლექსიკონები, სიმფონია ლექსიკონები, თესაურუსები და სხვ.

სემასიოლოგიური კვლევის მეთოდები / Methods of Semasiological Research

სამაგისტრო მოდული "ენა და ლექსიკოგრაფია" მიზნად ისახავს როგორც პრაქტიკოსი ლექსიკოგრაფის, ასევე ლექსიკოგრაფიის თეორეტიკოსი მკვლევრისა და კრიტიკოსის აღზრდას. ამ სპეციალობის დასაუფლებლად აუცილებელია სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობასთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეული ანალიზი, სიტყვის მნიშვნელობასა და ენობრივი

კოლექტივის მსოფლმხედველობას შორის არსებული კავშირების გაანალიზება, სიტყვის მნიშვნელობის სემური სტრუქტურის ანალიზი განმარტებითი ლექსიკონების დეფინიციების გამოყენებით, პოლისემია და კონტექსტი, სიტყვათა მნიშვნელობის დიაქრონიული კვლევა, ეტიმოლოგია და მრავალი სხვა საკითხი. მომავალი ლექსიკოგრაფისათვის აუცილებელია იმის გაცნობიერება, ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე, რომ სხვადასხვა ენები, მითუმეტეს არამონათესავე ენები, განსხვავდებიან ენობრივი აზროვნების კონცეფციით, აზრის გადმოცემის მანერით და ა.შ., რაც ცხადია სიტყვების მნიშვნელობებში აისახება.
სასწავლო კურსი სწორედ ამგვარი საკითხების სიღრმისეულ წარმოჩენას ისახავს მიზნად.